განმარტებითი ბარათი

ქ.თბილისში, დიდ დიღომში,გ.ბრწყინვალესა და პ.იბერის ქუჩის გადაკვეთაზე მრავალბინ. საცხ. სახლის მშენებლობისთვის გაცემული (ზონალური) შეთანხმების, მოსაკრებლის განაკვეთის ანგარიშზე

განმარტება:

27. 02. 2014 წლის გადაწყვეტილება №1128741 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების (ქალაქმშენებლობითი) პირობების თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე მოქმედებს ფუნქციური ზონა სზ 6 , რომლისთვისაც განაშენიანების ინტენსივობის დადგენილი მაქსიმალური მაჩვენებელია : კ-2– 2.5 .

ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის" 2014 წლის 13 მარტის #10 სხდომაზე...განკარგულებით გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გადამეტების მიზნით, რომლის თანახმადაც განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვრა 6.2 , რა დროისთვისაც მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი 1კვ.მ-ზე განისაზღვრებოდა 34 ლარით.

ფორმულა:

თანახმად "ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის მოსაკრებლის განაკვეთის განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 29 ივნისის №7-41 გადაწყვეტილებისა, მოსაკრებლის ოდენობა გამოიანგარიშება ფორმულით

$$X=L/K2(K2'-(K2+K2_{20\%}))xS$$

სადაც X არის მოსაკრებლის ოდენობა; L არის 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი; K2 არის მიწის ნაკვეთის დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი; K2' არის მიწის ნაკვეთის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე მინიჭებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი; S არის სამშენებლო მიწის ნაკვეთის ფართი. $K2_{20\%}$ არის დადგენილი განაშენიანების ინტესივობის კოეფიციენტის კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახდელი მოსაკრებლის შეღავათი.

ანგარიში:

X=L/K2(K2'-(K2+$K2_{20\%}$))xS= 34/2.5 (6.2-(2.5+0.5)) x 888.01=13.6 x 3.2 x 888.01

= 38 646 ლარი

ერთჯერადი გადახდით ექსპლოატაციაში მიღებამდე - 38 646 ლარი

შპს "მიგ ჯგუფი"-ს დირექტორი ირაკლი ჯოხიძე



დამკვეთი

22.05.2014

თარიღი

[1] შესაბამისი მშენებლობის გაცემიდან ერთი წლის ვადაში მაგრამ არა უგვიანეს ექსპლუატაციაში მიღებამდე